საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
**MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA**

## სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის სამმართველო
TBILISI DIVISION

---

№ 1-03/1138 21 ოქტომბერი 2014წ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და

განვითარების ცენტრის დირექტორს ლ. თოდუას

2014 წლის 25 აგვისტოს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა თქვენი 2014 წლის 20 აგვისტოს #2-668 წერილი, რომელიც ეხებოდა ლეონიძის ქუჩაზე მდებარე წნორის ქარხნის მაღაზიაში ყველის ვარგისიანობის ფაქტს.

2014 წლის 1 სექტემბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს სპეციალისტების მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წნორის რძის პროდუქტების სარეალიზაციო მარკეტიდან (მდებარე ლეონიძის ქ. #7/2; შპს „ნიკუშა პირველი"; ს/კ 440389072) ლაბორატორიული კვლევისათვის შესყიდული იქნა არაჟანი 15% (დამზადებული 31.08.2014); ხაჭო 9% (დამზადებული 31.08.2014) და იმერული ყველი (დამზადებული 31.08.2014).

2014 წლის 4 სექტემბერს ლაბორატორიიდან მიღებული გამოცდის ოქმების საფუძველზე დადგინდა, რომ აღებული ნიმუშები არ შეესაბამებოდა სანიტარიული წესებისა და ნორმების 2.3.2.000-00 „ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი" წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ყველში აღმოჩნდა ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები. ასევე, არაჟნის ნიმუშში ცხოველური ცხიმებთან ერთად აღმოჩნდა მცენარეული ცხიმიც, რაც წარმოადგენს ეტიკეტირების წესის დარღვევას.

აქედან გამომდინარე, შპს „ნიკუშა პირველი" დაჯარიმდა 400 ლარით. ობიექტში განხორციელდა არაგეგმიური ინსპექტირება.

პატივისცემით,

ცეზარ მაჩიტიძე

ც. მაჩიტიძე

სამმართველოს უფროსი

---

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №82
82 Chavchavadze ave. Tbilisi, Georgia

ტელ/TEL: (+995·32) 225 80 17
ფაქსი/FAX: (+995 32) 225 80 19